

კარი ერთოსელი

კოლეგი
ფსალმუნი

100-ტომეული



გამომცემლობა „კნივერსალი“
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

კუსა ექისტელი



კოლეური ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული
100 ფომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

კუკა ეჭილელი



კოლეური
ფსალმუნები

ტომი 57

2020



მთ. რედაქტორი

ლუარა სორდია

ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი,
აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „კენცერსალი“, 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკური №4, თე: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-864-9 (57 ტომი)



* * *

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორგის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის მიერ ანთოლოგია – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სტირლინგ-კოზლოვას მოწოდებულია – „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემილი გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემის „მოლოდინის“ გამოსცემის ვაშა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტელის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ფომი, რომელმაც ორიათასზე გაუთი კოეფილი მშნილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიწყეს ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიდის არენიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმერანის გედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, მჯგიდობის მქროს ვარსკვლავისა და მჯგიდობის ღრმენის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მოერალია მეცნიერთა და საზოგადო მოდვარია საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს კრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერთა-სამცნეომრო კაპადემიის ვიცე-კრეზიდენტის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შასლაშვების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისების ახალი, ოჩული კოლეჯი შასლაშვების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემულობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდიანი, უბადლეს კოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიზრულს გამოვიდა „კოლეჯი შასლაშვების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისების კლასისური კოექტის ათომობული, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი კოექტების, მეცნიერებისა და სახოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-
ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-
მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე დია კანკისყრით ერო-
სხად აირჩია აგავე კადემიის 30ცე-კარეზიდენტი, ცხობილი
კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის
დესანტი, „კოლეჯი შასლაშვების“ 100-ტომეულის აპტორი,
იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროვესორი
ვაჟა უბრისები.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მოერალი) და ორი
ვაქიტვილი ზურაბი და დაჩი (ორივე იურისტი) და სამი მკი-
ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცნე შვილი
(შვილი ქმა და ორი და).





პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვენს ორგ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, როგ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შალმუნე-ბის“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხე, ჩამი ძველი აზრი რადიკალურად უარვდავი და... დღეს ქვეყნის ბასაბონად ხამაბაღლა ვაცხადებ: ვა-შა მბრისელი არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოეცს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმისის ჰალაში მდგა-რი მუხაა, რომელსაც ოქროს სამზისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ყელასგან იაზონება მედვეასთან ერთად როგ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმოწის, აიეტის ხელი დარ-ბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპავე, კოეტმა იქროს საღმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შალმუნების“ იგავითვალებრივი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვასის ნაცარიმიყრილი, არა მარ-ტო კოლხეთის, არამედ იმდონინდებლი სამყაროს ოცდათოთხმე-ტებ მეტ საუკუნვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ ბაუკითხება.

100-ტომეული... ქვეყნის გარენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიმნიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძမინა დედამიწაზე...

კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრობისა და სიძულვილის გვე-ლუშაპი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

გულახ ხარაიზვილი

კოეტი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი



„გულივან შესძიო ყოველ შებას, ყოველ ძაბხას.“

ა. პუშკინი

წინასიტყვაობის მაგიერ

(გაგრძელება)

„საქართველოს წიწამურთან ესმა კრწანისი, ვოთარც მარადი სევდის ყიუინა“ და წუხს პოეტი ქვეყნის მარადიულ მწუხრს.

ამ სტრიქონებით საბოლოოდ იძერწება ერთი მთლიანი პოეტური სახე, ტრაგიკული შუქფერებით რომ გადმოგვცემს ჩვენი ერის სავალალო მდგომარეობას, მაგრამ მთავარი ის არის, რომ პოეტისათვის ტკივილიანი წარსული მარადიული თანამდევზია და მისნური წინასწარმეტყველებით აღიქვამს მოსალოდნელ ცვლილებებს ერის პოლიტიკურ ცხოვრებაში და უნებურად ისევ წარსული, სილამაზე ჩვენი თვალწარმტაცი ქვეყნისა, რომელიც მტრებმა ვერ აპატიეს:

.... ფართო თვალებით როცა მტერი ჩვენსკენ იძროდა, წამოუფრინდათ ხოხობივით მტკვრისპირ თბილისი. შეკრთხენ... თვალები სწორედ მაშინ დაუვ-



იწროვდათ „უმზერდნენ შურით... სილამაზე არ აპატი-
ეს, მიკაფ-მოკაფეს საქართველოს ცა და ვენახი, მაგ-
რამ საფლავში ვერ დამარხეს, ვერ ჩაატიქს“. („მონ-
ღოლები“)

დასამარხავად განწირული საქართველოს გუ-
ლშემზარავი ეპიზოდია ასახული ლექსში „გარძია“,
რომელშიც პოეტის მახვილი თვალით აღქმული და
შეცნობილი საქართველოს დღევანდელობა შემაძრუ-
უნებელია, მაგრამ მომავალი ცხოვრების ჭეშმარიტი
ნიშანსვეტია:

*

„ცეცხლის მახვილით საქართველოს მოკლეს
წარსული

მტრებმა?

და მერე თითო ნაჭერი

დარჩა ხალიფას
შპს და სულთანს?

მაშ,

რად მოისმის წარსულიდან ხმები
საჭრეთლის,

ქვის ტალანებში რად სალბუნობს
წარსულის სუნთქვა“.

ვერა, ვერ მოკლეს საქართველო, ვერ აღგავეს
პირისაგან მიწისა თამარისა და დავითის საქართვე-
ლო. კვლავ და კვლავ „რისხვა და ნგრევა საუკუნე-



თა (საქართველოს) მღვრიე ტალღებად ისევ ჩაუვლის. მაინც დარჩება, ვით ზღაპარი და სახწაული, წიგნი ვეფხისა, ნიკორწმინდა, ჯვარი, არმაზი“ — ხატი სიღრმისა, სიმაღლის და სილამაზისა...

და მაინც, მამული ქართველი კაცისათვის სალოცავია, სიყვარული დაუმარცხებელია. პოეტი ზგარაკად ეწირება მამულს, ამკობს და ალამაზებს მას. მოელი ჯაჭვია ლექსებისა, როგორც გაუტეხლობის, ვაჟაცობის, თავისუფლებისათვის შეუბოვარი ბრძოლის დიადი ზნეობრივი მაგალითი და გაკვეთილი:

*

„მხოლოდ სამშობლო! —
რწმენა ქართველის,

ვედარ იქნა და
გეღარ გაკვეთეს.

თუმც მახვილს სცემდნენ...

და კაცის ძემ არ შეიცოდა.

სიკვდილ სიცოცხლის წიგნს სწავლობდა,

როგორც გაკვეთილს,

ავიწყდებოდა ზოგჯერ სიცოცხლე,

ხოლო სიკვდილი —

კარგად იცოდა“.

ვაჟა ეგრისელი თავის ლექსებში მხატვრის ფუნჯით ხატავს მოვლენებსა და ადამიანებს; პოეტის მიერ დახატული ფაქტები — ცოცხალ განწყობილებას



გვიქმნის და პორტრეტული სიცხადით გვიჩვენებს
სამშობლოს ყოველდღიურობას, გაფაციცებულად,
ასტროლოგიით შეჰყურებს ქართულ ცას, რაიმე
სამტრო ღრუბლები ხომ არსად გამოგვიჩნდნენ... აქ-
ვე საჭიროდ მიგვაჩნია ერთი ლექსის მოტანა:

*

„ვის წაუღია...“

მე იმ ქვეყნად
რამე წავიღო,
ვითარც მოვედი,
წავალ შიშველი.
მომენატრება შენი ერთი თვალის შევლება.
და მოკვდავს

მიქელ-გაბრიელი
ვიცი, მიშველის,
მაგრამ სამშობლოვ!
მითხარ უკვდავს,
რა გეშველება!“
(„სამშობლო“)

სწორედ ვაჟა ეგრისელს შეუძლია დავით წინას-
წარმეტყველივით ოქვას: „მოვიძულე კრებული უპ-
ეთურთა და უღმრთოთა თანა მე არა დავჯდე“. (და-
ვითი 169.5).

„ხოლო მე უმანკოებითა ჩემითა ვიდოდი“
(169.11)



ერის უბედურებისა და პოლიტიკური კატასტროფის პირობებში პოეტმა პირველმა გაბედა საგანგაშოზარის დარისხება.

ვაჟა ეგრისელის პატრიოტული ლექსები მისი რეალისტური ლირიკის უთუოდ საინტერესო ნაწილია.

პოეტი წერს გაბედულ ლექსეს, რომელიც მოწოდებასავით გაისმის და სიფხოზლისაკენ, მამულის ჭეშმარიტი დაცვის დიადი გრძნობით განგვაწყობს:

„ფრთხილად:

საავდრო დაგვცექერის ღრუბელი,
შავით შემოსილი ვით ჭირისული“

პოეტის განსაკუთრებული სიყვარული, შთაგონება დაკავშირებულია ჩვენი სამშობლოს ტკივილიან წარსულთან. 1966 წელს პოეტი წერს:

*

„ვუხმობ ნათელს და...

ეოფნა წყვდიადში —

უფალმა უწყის სანამდე გასტანს.

ათასწლის მერე

მოგძახით და

გაბმით მოგკივით:



ეჰე, ბატა!
ბატა,

გო ბატა!
შენ მაშინ იყავ...
ჩვენ კი ახლაც ვართ გათოკილი...“

სამართლიანად წერს ვახტანგ ჭელიძე წიგნში „ლიტერატურული პორტრეტები“. „ცხოვრება ადამიანისა წარსულისაგან მოწყვეტილად არ არსებობს. ჩვენ დღევანდელი დღით ვცხოვრობთ და ვმოქმედებთ, ვზრუნავთ ხვალინდელ დღეზე და გამუდმებით ჩვენთან არის გუშინდელი დღე... რა მოსაწყენი იქნებოდა ცხოვრება, რომ გუშინდელი დღის ლამაზი სევდა თან არ ახლდეს. რა ძნელი იქნებოდა სუნთქვა ჩვენი წინაპრების აჩრდილი რომ არ გვიმსუბუქებდეს. იქნებ გაცნობიერებული არც კი გვქონდეს, რომ ჩვენს სიხარულს, განსაცდელს, ტანჯვას მუდამ მათ ვუზიარებთ, მათ ვეთათბირებით, რჩევას მათ ვკითხავთ და ეს ამავე დროს ერთგვარი სულიერი განწმენდა და განსპექტაციაც არის. ცხოვრების დიდ ზღვაში ყოველ ადამიანს თავისი კუნძული აქვს, თავისი თავშესაფარი. ეს კუნძული სულით ძლიერი და კეთილი ადამიანებით არის დასახლებული. რაც უფრო ხშირად გავიხსენებთ იმ ადამიანებს, მით უფრო ლაზათი ექნება ჩვენს ცხოვრებას. უფრო იმედიანი იქნება ხვალინდელი დღე“.



ვკითხულობთ ვაჟა ეგრისელის ლექსებს და ვის-
მენო გარდასულ ამბებს. თითქოს თვალწინ ცოც-
ხლდებიან დიადი ეპოქები და საუცუნეები. განუმეო-
რებელი ფერებით და მაღლით. პოეტი ჯადოსნური
კალმის ძალით განგვაცდევინებს არცოუ ძალიან
შორეულ, მაგრამ ჩენს ცნობიერებაში ლეგენდის სი-
დიადითა და მკრთალი ელვარებით შემოსულ წარსუ-
ლის მარადიულ ხელვნას.

1976 წელს დაწერილ ლექსში პოეტი სიფხიზ-
ლისაკენ მოუწოდებს მშობლიურ ქართველ ხალხს
და უკეთურთა ნანაში ჩაძინებულ მამულს ჩასძახის:

*

„ახესოვს გარდასულ საუცუნეებს,
შენი სიქველა,
თავგანწირვა
და შემართება,
თავისუფლების მოყვარული არწივის თვალი,
და... დღეს სამშობლოგ! —
რა გემართება,
რამ დაგიჩლუნგა —
ის ბასრი ხმალი!“

რა საოცარი ძალა აქვს პოეტის სიტყვას, როცა
ერთი სტროფითაც კი ცოცხლად განგვაცდევინებს
განწყობილებას, ირგვლივ გამეფებულ თვითკმაყო-



ფილ ოპტიმიზმს, სიბრძანებას და სიჩლუნგებს, რაც ქვეყანას უფსკრულისაკენ მიაქანებდა.

ზემოთ მოტანილი ლექსი (1976 წელს) დაიწერა მაშინ, როცა საქართველოდან იღებნებოდნენ მამულის პატრიოტი შეილები. ციხეში იყო გამომწყვდეული მერაბ კოსტავა. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უმოწყალო წამებით სული ამოხადეს ჭეშმარიტ ჟურნალისტსა და ნამდვილ ქართველ ქალს – ნაზი შამანაურს.

ერთი წლის შემდეგ ვაჟა ეგრისელმა აშკარა ბრძოლისაკენ მოუწოდა გაწამებულ ხალხს, მთელ ქართველობას:

*

„არ გაიხაროს მტერმა ჩვენზედა, –
ქართველმა ქართველს უანდერძა

და დაუბარა,

მომკვდარა, მაგრამ

რწმენა მკვდარი
არვის უხილავს.

ჯორჯიაშვილმა –

გრიაზნოვს რომ სტეფანია

უუმბარა,

დღესაც ჩაესმის საქართველოს მისი ქუხილი“.

ოთხმოციან წლებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალმა აღმავლობამ, რასაც



ვაჟა ეგრისელის გაბედულმა გამოსვლებმაც შეუწყო
ხელი. პოეტს ახალი შემოქმედებითი ძალა შემატა.
იგი დიდებულ ლექსებს უძღვნის 9 მარტისა და 9
აპრილის მსხვერპლთა ხსოვნას.

ლექსი „გამარჯვების კანტანტა“ წაკითხულია
მთავრობის სახლის წინ გამართულ მრავალათასიან
მიტინგზე, ცხრა აპრილის დამეს. ტრაგედიამდე რამ-
დენიმე სათითო ადრე.

ამ ლექსში პოეტი უხმობს გმირ წინაპრებს, აღ-
ფრთოვანებული საუბრობს მამულისადმი ერთგულუ-
ბაზე და ოავდადებაზე და ეს სავსებითდ გასაგებია,
რადგანაც ზემოსსენებული ადამიანური თვისებები
პოეტს ზნეობის უმაღლეს კატეგორიად ესახება. პოე-
ტი მოუხმობს იმ წინაპრებს, რომლებშიც უმაღლესი
ზნეობრივი თვისებები სრულყოფილად განსხვაუ-
დნენ. ამიტომაც ეზმანება:

„გორგასალიანთა ქრის დროშები ლაღად გაშლილი,
კვლავ ქუდზე კაცი — წინაპართა ისმის ვედრება...
გესმის? ყიუინა! — ქაქუცია ჩოლოფაშვილი,
კიდევ ცოტა და... გვეახლება კახთა მხედრებით.

... უფალმა მოგვცა და ჩვენ გვეპუთვნის
ეს დალოცვილი მოები, ველები...

და „ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნის“ —
ამბობს ვაჟა და... დასტურს სცემენ არაგველები“!



აქ, ამ ლექსში გაიციალებენ ილია, აკაკი, ვაჟა, შალვა, ბიძინა, ელიზბარი, ერეკლე მეფე, დიდი თამარი, ცოტნე დადიანი... პოეტი მთელი ერის მზადყოფნას გამოხატავს და რამდენიმე ფრაზით გადმოგვცემს თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველ ხალხთა შემართებას, რომ:

„დიდუბეში კი თამარ მეფის „შეკრბა ლაშქარი“...
გიოხმობს, გვეძახის, მარტყოფის და ველი მარაბდის.
ღმერთმა გვიკურთხოს ჯვარი ლაშარის,
წმინდა გიორგის და ილორის მადლი გვარავდეს“.

აქვე საჭიროდ მიმაჩნია მოვიტანო ნაწყვეტები ლექსისა „შავლეგო“, რომელსაც პოეტი ხალხმრავალ მიტინგებზე კითხულობს. ეს ლექსი მაღალ ეს-თეტიკურ რეგისტრშია შესრულებული და იგი ეძღვნება — ქართველი ერის სასიქადულო შვილს, ჭეშმარიტ პატრიოტსა და ეროვნულ გმირს მერაბ კოსტავას. მერაბ კოსტავა პოეტის მოღვაწეობისა და თავისუფლებისაკენ სწრაფვის ფეხომენია, რომელიც მამულს გაჭირვების მომენტში მესიად ევლინება:

„...საქართველოს სიყვარულში —
ვერ გაჯობა ვერავინ.
შავლებ ბიჭო!
დაჭიხვინებს —
მხედარს უხმობს მერანი.



როგორც ზდაპრად,
ანდა როგორც არაკად,
შენ სამშობლოს შეეწირე ზვარაკად“.

პოეტი სულიერ სიახლოვეს ამჟღავნებს მერაბ
კოსტავასთან დამოკიდებულებაში. იგი პოეტის რწმე-
ნით კაცი-ლეგენდაა, რომელიც ქართველი ერის
ცხოვრებაში დამკვიდრდა როგორც მამულისათვის
თავდადების სახე-სიმბოლო. პოეტი სხარგი მეტაფო-
რული აზროვნებით გადმოგვცემს გმირის ტრაგიკულ
ცხოვრებას, რომელმაც შავი ჩოხა ბევრჯერ სის-
ხლით გაახამა. ეს ალბათ უფლის ნება იყო — გვ-
არწმუნებს პოეტი:

„შავი ჩოხა სისხლით ბევრჯერ
გაახამე,
მაცხოვარმა რადგან ასე ინება.
შავლებ ბიჭო!

ტანთ გაცვია ქართლის დამგ,
ვარსკვლავები შიგ გიწყვია ქილებად.
როგორ გვშენის შავ ჩოხაზე ყაწიმი,
ობლად გაზრდილს გმირობა
დაგებედა.
მხარზე გაზის გამარჯვების არწივი,
და გიშველა თქმულებაშ
და ლეგენდაშ.

...შენ უტაცე დრო-!ამს ხელი აღვირზე



და დამსხვრევა მოინდომე ბორკილის.

მძინარეებს კვლავ ანჯღრევს და აღვიძებს, -

შენი ხსოვნა მოგვძახის და მოგვიგის“...

ამ უკეთილშობილების პრინციპებით უნდა განვლოს გზა ქართველობამ. აქაა ქართველი ერის გაუკვდაგების ჭეშმარიტი გადაძახილი და „არაფერი რომ არ დაეწერა ვაჟა ეგრისელს გარდა მერაბ კოსტავასადმი მიძღვნილი უბრწყინვალების ლექსის — „შავლებო“, ქართულ მწერლობაში, როგორც დუტუ მეგრული, — იმ ერთი ლექსითაც დარჩებოდა“... (ხოსო სიგუა).

„საქართველოს დიდი ისტორიის ძალუმი სუნთქვა მოისმის ვაჟა ეგრისელის შეუდარებელი პოეზიიდან...

პოეტმა იქადაგა ქართველთა ერთიანობის აუცილებლობა, რაც გამარჯვების საწინდარი უნდა ყოფილიყო:

„ვერ გაიმარჯვა მტერმა ჩვენზედა,

თუმც გამარჯვება

ბევრჯერ ენება

და ჩვენში ახლაც

ურჯულოთა

გუბუნებს ექოც!

ჩვენ დვიძლი ძმები ვართ ქართველებო!

ერთსისხლ და ერთხორც“.



რა გულწრფელია, რა სადა და ბუნებრივი ეს
სტრიქონები. პოეტს საქართველო ცხოველი სიყვარუ-
ლით უყვარს და სჯერა ერის უკვდავება და ამ ბო-
ბოქარ საუკუნეში ურთიერთთანადგომის, გაძლების,
ნებისყოფის მტკიცე რწმენით მსჭვალავს ადამიანებს:

*

„ვით ბრძოლით დაფლილ ჩვენს დიდ წინაპრებს —
წინ მიგვიძღვოდა
მეხთა მძლევი
სმა-სიმართლისა —
მზის და სიცოცხლის გაშლილ აფრებით,
და თავზე გვედგა ჩაუქრობელ სვეტად-ნათლისა.
მხოლოდ სამშობლო!
სხვა არაფერი!“

პოეტი სულიანხორციანად შესძრა 1991-1992
წლების დეკემბერ-იანვარში თბილისში დატრიალე-
ბულმა ტრაგედიამ. ამ ტრაგედიამ ასეულობით ქარ-
თველი ჭაბუკის სიცოცხლე შეიწირა. აღშფოთებული
პოეტი წერს:

*

„ნაცემ ძალლს პგავს საქართველო,
ცას შეჰყმუის
და წკავწკავებს...“



შემოგვესია რუსი ჩრდილოეთიდან, სამაჩაბლო
ოსეთად გვიქციეს და...

„საქართველოს გულში ისე ჩანს „ოსეთი“
ვით იღიას ნათელ შუბლზე —
ნატყვიარი.“

შემოგვესია რუსი დასავლეთიდანაც (ასე იყო 1921 წელსაც) და აჭყარა მშობლიური მიწიდან ქართველობა. მაინც ბაბაიას ეძახიან და ერთმანეთის ჟლებას მიჰყვეს ხელი, პოეტი გულშედონებულია სინამდვილით და წერს:

„...ძმა ძმას ჰკლავს — სუფევს ქაოსი,
ძნელია ამის ატანა!
და ქართულ სასაფლაოზე
დგას და ხარხარებს სატანა“...

პოეტმა თითქოს გულთმისნურად იგრძნო აფხაზეთის ტრაგედიაც და, ჩემი დრმა რწმენით, პოეტის მრავალ ლექსში მოსალოდნელი დარდი და ვარამიძ გამოხატული. აფხაზეთი პოეტის მოურჩენელი ტკივილია:

*

„ზღვის ტაძარში საღამოს თუ დილით,
ზვირთთა ლურჯი გალობები მესმის



და ლოცვად დგას სოხუმი

და გაგრა —

დიაოხთა მწვანე სამანქბში,

ზღვა უნდოა, გულში მიკრაგს მაგრად,

ცალი ფეხი მიდგას სამარეში“.

ეს ლექსი დიდი სიზუსტითა და დამაჯერებლობით გადმოგვცემს პოეტის გულისთქმას. პოეტის თოთოველი სიტყვა მისტიკური ხილვის შედეგიცაა და მომავლის განჭვრების უნარის მატარებელი. მგოსნის ნერვებს ათროთოლებს ზღვაში ჩაძირული დიოსკურიოს ტრაგედია და მიტოვებული, უკაცოდ დარჩენილი სახლების სევდა...

„რარიგ იავარქნეს და შებილწეს მოსისხლე მტრებმა დვთისადმი სასოებით ადვლენილი ლოცვასავით სპეტაკი გაგრა და სოხუმი! რამდენი ქართველი ლამაზი ჭაბუკის წმიდათაწმიდა სისხლი დაიღვარ იქნადა თითქოს პოეტს დღეს ეთქვას ეს სტროქონები:

*

„დღეს ეს გალობა, მცირე თუ დიდი,
მიიღე ჩემგან,

მსხვერპლშეწირვად, მამულო —
ღმერთო“.

პოეტური აზრის პატრიოტულ მასშტაბებში კონ-



ცენტრირებით ვაჟა ეგრისელის პოეზიაში ჭეშმარი-
ტად ეროვნული ფენომენი აღიქმება. აი, როგორ ხე-
დავს პოეტი გაგრის დაცემას:

*

„გველეშაპი ცეცხლს აფრქვევდა,
ამირანმა შესძლო შებმა,
მაგრამ როცა გადაყლაპა დევმა
გაგრა,
ერთმანეთს კვლავ გადახედეს ქართლის მთებმა
და ზღვაც შავად აიჯაგრა“.

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში დიდი და მწარე
ტკივილია დაჩნეული აფხაზეთისა და სამაჩაბლოს
დაკარგვით. აი 1993 წელს დაწერილი სტრიქონები:

*

„დაჩხავიან ყვავ-ყორნები
და რამდენჯერ
ბარს დაკრავენ,
ეკუმშება მიწას გული.
საქართველოს ერთად უდგას:
კრწანისი და წიწამური“.

მაინც იმედით სულდგმულობს მგოსანი, რამეთუ
საქართველო ცოცხლობს. „იგი ვეფხია დაჭრილი, მაგ-
რამ მომაკვდავს არა პგავს“. „მტერს და მოშურნეს შე-
აყარა თვალში ნაცარი... პატარააო! იყოს, რაც არი!“



ვაჟა ეგრისელის ლექსის ყოველი ბწყარი ემსახურება კაცობრიობის უკეთესი მერმისისათვის ბრძოლის წმიდათაწმიდა მიზანს. პოეტის მთელი შემოქმედება მიმართულია სამშობლოს, ხალხის ბედნიერებისაკენ. პოეტის რწმენით მამული ჩვენი უკვდავია. იგი მუდამ იბრწყინვალებს, თუმცა:

*

„...საუკუნეთა მღვრიე ჯარი
მოდგა და მოდგა,
მაგრამ ვერა გზით
გერ აღგავა
მიწის პირიდან,
ჩემი ამაყი
ჯიქთა ჯიში
და ჩემი მოდგმა“.

ციალა მასხია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი.

ნაწყვეტი წიგნიდან – სახწაული და ფანტაზია
(ფიქრები ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე)

გაგრძელება შემდეგ ტომში



ჩემი პავილინი

წარსულის ციდან მოგონება წვეთავს და
წვეთავს:

ორმოცდასამი...
ომი...

შიში...

ვფიცულობთ ძმის მზეს...

ერთი პერანგი...

და იმასაც ცეცხლზე აშრობენ..
მეგრულ კერასთან ზის შიშველი ჩემი
ბავშვობა

და მოწყენილი,
დარდიანი თვალებით მიმზერს.

1959

* * *

შიშვა და სიკვდილს რეკლნენ ზარები,

გაფითორებულნი იდგნენ ტაძრები,

ცისქვეშ მზეებად

დუღდნენ ფარები...

რომ არ ენახათ მტრებს მათ ტანზე

ნაიარევი,

ციხე-კოშკები

სუროსა და ხავსს იფარებოდნენ.

1969



განთიადები

მთოვარის შუქჩე, ბნელის ბუხუნით
მოდიან მთები –
უფსკურლებით

პირდაღებულნი,
(მხრებზე აყრიათ ფაფარივით ნისლის
ბულული)

და არაგვს მძიმე ტორებს ადებენ...
დამის მიღმა კი –

გარსკვლავებით გადახურული –
სახლობენ ჩემი განთიადები.

1973



* * *

ვითარც ხსოვნა და არდავიწყება –
ლაუგარდოვანი ნაკვლევი
მისდევს გლისერებს
არაგვებად და მგვრგვინავ თერგებად...
და... ფსკერზე მშვიდად ვინც განისვენებს,
ზღვა ზფირთებს ხშირად ცად აღმართავს
იმათ
ძეგლებად.

1966



* * *

ვიდექ გემბანზე და ვუყურებდი:
ერთურთს ახრჩობდა ზღვა და
ზღვაური,
ცეცხლის მახვილით
კვლავ ებრძოდა ღრუბლეს
ღრუბელი.
და ვიდაც ქალი
სიყვარულით მკერდაწეული,
მოაჭენებდა ზღვის ნაპირას
ულავს უბელოს,
ვით ამორბალი,
წარსულიდან გამოქცეული.

1972



* * *

ଫାଦାଫେଦିଫାନ୍ ସିଫରୁକ୍ବଲ୍ଲେ ଗଗ୍ରିଧିଗା
ଫା ଫାଦିରିଲ୍ଲୋ ଗଗାକ୍ଷ୍ଵେ
ଲାପ୍ରିଥ୍ରେଦି,
ପମ୍ଭରୀରିତ ଫା ପରୀରିତ...
ପରୀରିତ ଫା ପମ୍ଭରୀରିତ...
ରାମଜଟ୍ଟୁ ମନ୍ତ୍ର୍ୟୋଗ,
ପକ୍ଷିଗିଲ୍ଲେଦିଲ୍
ଗାସାପ୍ରିଥ୍ରେଦିଲ୍
ପମ୍ଭରୀଲ୍ଲୋ ଆର୍ଯ୍ୟନ୍ତିରିଲ୍ଲୋ କାରି ଫା ମତ୍ତବେରି.

1973



* * *

დალატი იცის ზღვის
გულ-ღვიძლმა,
მისი სივერაგე
არ არწყელა,
ახლაც მომეგება და მომხვია
ყელზე
ტალღების აპეური.
მერე ქარის ცრემლებით
დამარწყლა,
შფოთვით და დელვით, —
დამაპურა.

1974



საჭყალი მამა

მოულოდნელად სიკვდილს შეება,
წუთისოფელთან ბრძოლით
დაღლილი,
და, აი,
ახლა ბებერი ჟამი
არწევს და არწევს დავიწყების
ცრემლისფერ პამაკს,
და მოწყენილი შიგ წევს ბალდივით,
ჩემი მოხუცი,
საწყალი მამა.

1966



შემოდგომა

წევს შემოდგომა
 ქართულ მარანში,
თამადა თურმე იყო კახეთი
და ვერ მოასწრო ალაზანის
 ველზე გახედვა,
როს იგრძნო მძღავრი დიონისეს
 ხელის შეხება.
და... საქართველოს უზარმაზარ
 ცის საწნახელში,
გარსკვლავები კვლავ შიშველ
 ფეხებით
ოჯალეშისფერ ნათელს წურავენ.

1981



შერამზერალი

დავიბადებით...

ქაღალდივით თეთრი გვაქვს

შუბლი

და არსოვამრიგე,

ნებას და სურვილს –

ზედ გვაწერს უფლის.

და... სიკვდილამდე იგებს

ვერავინ,

შუბლზე რას გვაწერს –

წერამწერალი.

1973



მწვხერის ლიტანია

ჭკნება ნათელი მარადიული,
როგორც სიცოცხლის თეთრი კანდელი.
და სიჩუმეში ვიღაც იურვის –

მოსილი უცხო შარავანდედით.
ჟამი მკაცრია, როგორ გავართოთ,
რომ არ დაგვამხოს ზეცა ქვითკირის.

მიდის უგზოდ და უმისამართოდ
და ჩვენ მივდევთ და... უკან მივტირით.
მნათობებს რეკავს დამე გრძნეული...

და ატეხილი ფიქრთა ისლები
ამ სოფლად წამით შემოქცეული,
ჩვენებრ იმ სოფლად მიინისლება.
სსოვნით მოცული სადაც გვეგულვის,
ამქაეყნად ტანჯვით შობილთ მშობეული.

სიბნელის რაშზე ამხედრებული
მიდის. მოგელავს ყოვლისმპყრობელი.

1962

* * *

გადავიწყებულ, ცივ და შორეულ
ჰანგზე მნათობთა სალამურების,
მთვარე კითხულობს მიტოვებულ
ტაძრის გუმბათზე
მიწერილ ბილინგვას –
ლამურების.

1969



სოფლის დილა

ცის ლურჯ ტაძარში

არ ისმოდა ზარი –

მთიების,

აღარსად ჩანდა მრევლი მნათობთა

და არც ლრუბლები –

მწირი ბერები.

ვეფხვის წიგნს ჰეგავდა მოვარივით

გადაშილილს,

ნარინჯის ყდაში –

ზღვით ჩასმული

ჩემი სოფელი.

მზე –

ყრმა იესო იჯდა კალთაში,

ქარლწულს დილას და...

დაგვეურებდა ვით დვთისმშობელი.

1976

* * *

ცისარტყელების ფერად ბაფთებით
 თმამოყვავილე –
 წვიმა მიდის სანაპიროზე
 და ზღვის ნაკალებს ცრემლით
 დასტირის, –
 ქუხილის გზაზე სიარული
 რომ დაუბედა,
 ხოლო ზღვას ჩუმად,
 ქარიშხალი კონტრაბანდივით
 ამოაქვს დელვით სავსე უბედან.

1977



ჩემი თბილისის მაღალ კარებთან

წუხს ზედაზენი, – ჯვარზე გაკრული...

ხოლო მახათა

და შავნაბადა

ქართული ცის ქვეშ ღამეს ათევენ

და მოელიან კვლავ მზეშებმულ ცისკრის
კარეტას,

და... მუხლმოყრილნი დგანან მთები –

გოლიათები

ჩემი თბილისის მაღალ კარებთან.

1974



ଧାରୀଜନମଣି

ଧେଇବ ହିଂସିଗିତ, ଫରେଲୁଏବୁ ନୋବି
 ବ୍ରଥିଦାନ ବ୍ରଥିତ୍ୟେ ଫରେନାସ ଆଶ୍ଚିକଲୋକ
 ରା ରାତ୍ରିରେ ବୀରେ ଉତ୍ସର୍ଜନମଣି
 ରାଜାନାନ ପାତାକିରି
 ରା ରାମିଲେ ମନ୍ଦିରା, କିମ୍ବାମିରି,
 ବାଦିଲାଦି ରାଜାମଣି,
 ରାମକରତାଲି କଲିବିଲେ ନାମାଦିନି ମନ୍ଦିରକବ୍ରିଦ୍ଧା.

1959



მპათათვე

ქვითქვითებს ყანა
და ლაქვარდში
ლამობს აფრენას,
იცინის ტარო,
ხაშარ-ულვაშ გადაგრეხილი.
მწვანე სიწყნარე სუფევს დაფნების.
და ალბათ მალე,
მოვარის ნამგალს
დილა, გლეხივით,
მზის უზარმაზარ
ქვაზე ალესავს.

1973

მაჟშალია

სიშორისა და სიმყუდროვით
 გადახურული
 განათებულა მთვარის დარბაზი,
 ირგვლივ სიცოცხლის
 წაუმქრალი
 სხივი ანთია.
 დამის ტოტზე ზის მაფშალია
 და ცის ნარმაზე
 სიმღერით ძაფით ქარგავს განთიადს.

1972



0183 საღამო

ოდაში სანთელს უკიდებს დედა,
ვით ბაბუაწვერა,
ნიავს მოაქვს
კივილი ჭოტის
და ხოშკაპალა ერეკება სოფლისკენ
ნახირს.

ცას მოსხეპილი
სიბნელის ტოტი
სიჩუმეს მიაქვს და მიწაზე, ვით დროშას,
დახრის.

ცაში ირევა ლრუბლების რემა,
მეხი დროდადრო

გატყორცნის ქამანდს,
აკვირვებს მათი კისერის სისქე.
კერასთან ვზივარ...
არა სჩანს მამა...

ცეცხლი თუ ლოცვა მიიწევს ცისკენ.

1965

* * *

ଧନ୍ୟ – ଫାନ୍ଧାରାର,
 ସାଇଦାନାତ୍ ଥରିବ ଗିର୍ଜେହିତ
 ବନ୍ଦିଲ ଫୁଲିଙ୍ଗି –
 ଧନ୍ୟିଲ ମନ୍ଦିରି ଫିଲିଲି ନିଶ୍ଚିନ୍ଦା,
 ରନ୍ଧରିଲିଲ କପରିତା, ରନ୍ଧରିତା ତନ୍ଦରିତା.
 ଗପିକରିଲ ଲା ଗପିକରିଲ,
 ରଙ୍ଗିମଦିଲ ମାନ୍ଦିଲ ଗଜିର ଅମିଶିନା,
 ଚାଲ ରନ୍ଧର ଗାନ୍ଧରିଲାଗ,
 ରଞ୍ଜିତାଗପିଲ ରାଧ ମାନ୍ଦିଲନ୍ଦରିତା?

1973



სიმები

დღეები – სიკვდილ-სიცოცხლეს შორის
გაბმული სიმებია,
ჩვენ ამ სიმებზე წუხილსა და სიხარულს
გუპრავთ.

ყოველ საღამოს
თითო-თითოდ წყდება სიმები, ვით ძაფი
წვიმის.

ჩვენ მაინც გუპრავთ,
განუწყვეტლივ
გუპრავთ და გუპრავთ,
სანამდის ბოლო გაწყდება სიმი.

1970



უფსპრული

უფსკრული წითელ ხახას აჩენს
 გველეშაპივით,
 იქვე უფსკრულთან –
 მთებს ვკიდივარ მე ბილიკივით
 და ვსვამ სიმაღლეს წყალივით და...
 ვედარ მოვეშვი...
 სიცოცხლის გაღმა,
 უღრანიდან ვიღაც მიკივის –
 სურს შემიტყუოს მარადიულ
 სიმყუდროვეში.

1972



მორჩა, გათავდა!

ცხოვრებას თვალში შესციცინებდი

და არ იცოდი,

შენი სიცოცხლე

იყო თოკიგით გასანასკვავი.

მორჩა...

გათავა...

ზეცას მოსწყდა

ბედის ვარსკვლავი

რომ უდაბური გზა გაგინათოს.

1971



მამის სიკვდილი

სისხამ დილიდან

ჩემს აივანთან,

ტოტიდან ტოტზე დახტოდა და
ავბედითად უსტვენდა ჩიტი.

და...

შუადღისას მივიღე

„ქლვა“,

სად ცუდად ყოფნა ეწერა მამის.

და, მე გავფრინდი...

მაგრამ სიკვდილი

ჩაფრენილიყო ჩემზე ადრე,

სიო ერთი წამით.

1965

თხზოვანი მაისი

შენთან უჩემოდ მოვა მაისი,
მოგიტანს ფიქროთა
ცისფერ ქლამიდებს.
და ყურს მიუგდებს ადონაისებს,
რომლებმაც ერთდროს,
ვით მიჯნური,
შენც არ დაგინდეს.
და... აი,
ახლა, ხსოვნის ფსკერზე ზიხარ,
იგონებ,
აწ გარდასული სიყვარულის
ქორონიკონებს.

1963



მთიანელები

„მთიანელებს“ კვლავ აგუგუნებენ
არაგვებად და
თერგებად...
და ვით წარმართნი,
თიბათვეს,
ზვინებს უდგამენ ძეგლებად.

1972



* * *

დამეები კვლავ ქრიან ყორნებად
და ჰა,

საცაა ჩამომექცევა
ცის და სინათლის შორი კედლები.
„ვზი ბნელსა შინა“,
ციხიერო,
უსმელ-უჭმელი,
თუ რამ შეგცოდე,
პატიებას
შენ გევედრები,
ცოდვით ნაშობი,
მოარული ცოდვის ჭურჭელი.

1977



გვირილა

ზეცა მიხმობს...

მეძახიან მე სამშობლოს გზები,
 წელში მოხრილ ცისარტყელას
 გბღუჯავ როგორც გორდას,
 რადგან მტკიგა ნანგრევები –
 იყალთოს და გრემის.
 თეთრ-კოპლება ჩითის კაბით
 რომ შემოგხვდა გორთან,
 ის გვირილა –
 დიმილია ჩემი.

1974



* * *

მომწყინდა ღამე...

და სივერაგე კაცის თუ ღმერთის,
ზღვისა და ხმელის.

მიწა ქალამნად მიმაჩნია და

მთვარე – ქუდად.

რაც იყოს, იყოს,

თავზე უნდა ავიდო ხელი,
ერთ მშენიერ დღეს,
საკუთარ თავს გავექცე უნდა.

1990



* * *

ჩემმა პირველმა სიყვარულმა –
 ზღვამ მიდალატა,
 ვნახე, გრიგალებს ვნებიანი ქვეშ
 როგორ ეწვა,
 და ახლა დაღლილს,
 დაუკრეფავს ხელები გულზე.
 ხოლო უფალი ცის სარკეში
 თავისთავს უმზერს,
 შიშველ ფეხებით ზელს თიხას და
 ჩემს სახეს ძერწავს.

1987



ვიქრები

ბრძოლით დაღლილი,
მარადიულ ტანჯვის ბუდეში –
წევს დედამიწა ფიქრით ნაშობი,
თუმც მზე და მთვარე
ცრემლს უწმენდს
და უნათებს სახეს.
სიცოცხლე შიათ და მიწაზე დათარეშობენ
და ჩემი ყოვნა –
ბუ მგლებივით
ფიქრებმა დახრეს.

1972



* * *

მნათობთა შუა – კერასთან
მთვარე მარტო ზის
ბერძო.

მწიფე ცას მეტეორები
ბროწეულივით ხლებავენ.
სადღაც ცეცხლის და
სინათლის ხმა ისმის,
ალბათ,
მზე არი,
რომ მიჰყავს აღმოსავლეთით
დამე –
ზათქით და ზრიალით.

1969



* * *

მარგალიტების ლამაზ მძივებად,
შენი ცრემლები მაცვივა,
თუ ქართლის ცის ნამი?
შორს,
ურემივით,
მოგონების ჭრიალებს კარი.
მთვარე კი არა,
დედა,
შენი ნათელი არი,
ბნელს რომ მიცისკრებს
ამ უღრან დამით.

1979

დედაო მიზან!

შენ ეჭვიანობ –

ცაში ბევრს რომ დავეხეტები,
დედაო მიწავ,
ჩემი ფიქრის დიდო ზეკარო,
და როცა დამით ვარსკვლავები
დაიწყებს თოვას,
შენ გეშინია –
ცაში ჩუმად არ გაგეპარო,
არა, მშობელო, მიმწუხრისას
კვლავ შენთან მოვალ...

1963



* * *

ჩემი გალობა –

ზესთა დასს ვერ შევუხმიანე,
დაშვრა ამაოდ

ჩემი სანათი.

აწ ყველაფერი არის გვიანი –

ამაოება მინანავებს სულთათანათი.
ხელში მიჭირავს დამის სათავე
და დრო რადგან ვერ მოვისადაგვ,
დაჭერილი მაქვს –

მე თადარიგი,

გარ შეგდებული
ბედის სასწორზე,

ველი განაჩენს
არსთა გამრიგის.

1969

* * *

କାନ୍ତିକାଳର ଶେଷଜମନା ଓ କାନ୍ତିକାଳର
ଗୀତଙ୍କା,
ଏହି ପାଦପାଦକ ଖଲାର୍ଥୀ,
ଏହି ପାଦପାଦକ ଖଲାର୍ଥୀ,
ଏହି ପାଦପାଦକ ଖଲାର୍ଥୀ,
ଏହି ପାଦପାଦକ ଖଲାର୍ଥୀ
ଏହି ପାଦପାଦକ ଖଲାର୍ଥୀ –
ଖଲାର୍ଥୀ.


1977



* * *

ტალღების ყეფა
და ზვირთების
ისმის ბლავილი...
მთვარის სვეტისგან გამოკვეთილი
ცა
ხმაურისგან დედამიწას ვეღარ
იფარავს.
ო, ქარიშხალო! –
მწყემსო კეთილო,
სად ერკები ზღვას და
ზღვის ფარას?!

1978



* * *

მყინვარწვერი რომ ხელთუპყრიათ
 ვითა სანთელი
 და ლოცულობენ მუხლმყრილები,
 ეს მთები არა,
 ჩვენი დიდი წინაპრებია.
 და სულო ჩემო,
 ნუ გაოცდები,
 რომ წინაპართა ცრემლებია – ზღვები
 მდელვარე
 და ვარსკვლავები არის ლოცვები.

1974



ბასილი საბაზინდელი

ცა ჩამოსტირის დამის ტრამალებს,
საკურთხეველი —

“ცოდველთა ცოდვაზ
დაღალა.

აღარ ხმიანობს ჩემი ჩანგი,
ჩემი ჩაღანა,
როს დედამიწას სიხარულად
ცამდი ავწევდით.

ცოდვა განიხვნე, ბჭეო სულისავ,
აჸა,

მოსულა ჟამი განწმენდის!

1979



* * *

ჩემი ფიქრების თავშესაფარი

მებმა გაბზარა —

გამჭვირვალე

ცის თეთრი მინა.

ოცნების აფრას წარსულში მე მაინც

გავშლი,

რადგან ბავშვობის დღეებს

ჩემში, ო, ისე სძინავთ,

როგორც მომავალ გრიგალებს — ზღვაში.

1972



* * *

ძაღლების ყევა ესხა საღამოს,
საკვამურიდან ამოსული
კვამლის ბულული
ცისკენ ილტვოდა და სიმაღლე
ზეცას სტკიოდა.
მინდორი იწვა სოფლის ახლოს
ტყით დაბურული
და ყაჩადიგით
ტყე-ტყე ღელე შორს მიდიოდა...

1967



დღეები

მიმზერენ ჩუმად და დაუინებით,
ოვალებში უდგათ
სიხარული –
მზეებზე დიდი.

და ყურს უგდებენ –
ყელმოლერილ სიტყვებს თუ ბგერებს.
მიმახსოვრებენ...
და მიღიან
დღეები მშვიდად,
რომ გამიხსენონ ათას წლის მერე.

1979



* * *

ზღვა ქალებზე იდგა ფაფარაშლილი

და ცას საოთვედ

არ იკარებდა,

კითარცა ადრე, დიდი ხნის წინათ.

გამოენისას,

ქარებმა მოებს

თოთო ბავშვივით,

დამით დარაზულ მადალ კარებთან

ღრუბლების ჩვრებში შეხვეული

მიუგდეს წვიმა.

1972



შულები

წარსულის ცრემლში აფრიანი
იოწევა გემი,
რომელსაც მიჰყავს
ქალ-ვაჟები ყალმით ნახატი,
ძღვნად რომ მიართვას
სტამბოლში სულთანს.

ცა —

კოლხი დედა
თმას იწეწს და პირს იხოკს
ელგით,
ზღვა გულში მუშტებს იბრაგუნებს
და ეკვრის სუნთქვა.

1978



* * *

ცივია ახლა ეს მოგონება,
უფრო ცივია სინანულის
გზა უპირქვებო
და ეს წუხილი შენ მომანიჭე.
გახსოვს?
როდესაც უნდა შეეღო
შენი კეთილი გულის კარიბჭე,
და სწორედ მაშინ,
სიყვარულს რომ ფეხი დაუსხლტა!!!

1967



ՅՈՆԴՑՈՒՑՈ

Ծագընատուս և ակել տամարուս,
 ծառութաց պարագա պարտա
 անցըլութուս,
 մուղումաց գամուզամիջնուց
 բայ և աշուշուս
 զարդու,
 – զարերաց յամու բայնուս մաքնելուց
 ու իշխան և օպուցելու գազածեատ:
 Վայես անջուն գլուխուստացուց
 ու նախա պահասկարուցու.

1968



მეტნა

გეღარ იძინებს მწვანე ნაპირი,
რადგან ლერწამი,
ძმის დაკარგვას სივრცეს შესწივის,
დამის ძელზე კი ჩქამი გააქვს
მთვარის შალაშინს,
ძეწნა დედაა —
შვილლდამხრჩვალი,
ომაგაწეწილი,
წყალს რომ ჩასცერის პარას ჭალაში.

1959



* * *

შენს სიახლოვეს ყვავილობს გული,
 ნუ მიწყენ, ფიქრი რომ ვერ დავფარე.
 ყაჭის ძაფივით ნუ გამიწყვეტ
 უეცრად იმედს.
 თუ მომცემ ნებას, სიკვდილამდე სულს
 შევაფარებ
 შენი ლამაზი თვალების მღვიმეს.

1971



ჰაბუპები

(მინაწერი წიგნზე: „ჭაბუკები დარჩენები მარად“).

პოეტები კვლავ უსტოვნენ ქორებს,
ფიქრში დგანან,
ავდარში თუ დარში
და აკლდებათ დღე...
წუთი და წამი...
მათ იდარდონ,
მათ იკითხონ, თორებ
თქვენ კი მარად ჭაბუკები დარჩით,
არას გაკლებოთ,
თქვენ არ გერჩით ჟამი.

1972



სტილი

დიდი წვიმების შემდეგ იწყება
ნაკადულების დიდი მარულა.
და ჩემი სოფლის დიდგულა სქვიას
ნაქურდალიგით, ტყეში, მალულად,
სადღაც წისქვილში ყურმოკრული ამბავი
მიაქვს.

1959



* * *

ბოჩოლასავით მიბმულია
ნავი სანაოს,
ნავს ეფარება და ქურდულად
კიდაც ბანაობს,
მდინარეს კოცნის ცა საღამური,
უცებ იელვებს...
ელვად შენი სიშიშვლე ვცანი
და სიხარულის
განიხვნენ ცანი.

1968



მწვერის სიმღერა

ჭრიჭინობლები გარმონივით წელავენ დამეს
 და დამღერიან
 მწუხერის სიმღერას
 და გაბზარული სიხარულის ხმები
 მრთელდება.
 იზლაავნის დამე...

დამე არა,

პაუ! წელია.

მოვდივარ შენთან, აღარა და... აღარ
 თენდება,

ჭრიჭინობელებს
 დამე როგორ გაუწელიათ.

1970



ჩემი მხარე

სულ სხვანარი ისმის გალობა,
ფიქრი თუ კვირტი,
მზისებრ ჰყვავის
სულ სხვა ენაზე.
სხვა ზღვა რომ ღელავს,
ქარიც სხვა ქრის,
ეს მიხარია.
სულ სხვანაირი ხმა მოისმის –
დროის გელაზის...
მცირეა,
მაგრამ ჩემი მხარე
სულ სხვა მხარეა.

1968



* * *

მზეს დასავლეთით მიაციაგებს
ადიდებული ჟამის

მდინარე.

კართან მომდგარ ბნელს
ქედს აღარ უხრის
ნათელი – მჯგნარი და დაწრეტილი.
მაგრამ უეცრად დაუსვა მწუხრმა
ცას
გარსპოლავების მრავალწერტილი.

1963



* * *

შეღამებისას –

ჯაჭვის ზრიალით,
გადამიქროლებს უშორესი
ხატება

უფლის.

მომეახლება ბინდად –

ლოცვის მტკერი
და ქარი.

სიჩუმის ცისფერ კიბეებით ცად ავა
მწუხრი
და ვარსკვლავების ჩამოჰკრავს
ქნარებს.

1975



მამულო

შურის და მტრობის გედგა უდელი,
სისხლში იდექ და
წელში წყდებოდი,
არრას გვშველოდა ლოცვა ბერთა
და დიაკვანთა,
მაგრამ... მამულო!

შენ იწყებოდა –
ყველა ქართველი ბავშვის აკვანთან.

1971



ტიქარა

დედის მკერდზე თვლემს ჩემი ბაგშვიბა,
ოხრავს ბუხარი...

თოვლი ბდავის ზამთრის
ბაგაზე,

ჭრიალებს ოდა, – ქარმა იქარა
ზღაპარში მიჰქრის და ღამეებს
გზად მიიცოხნის
ქედგადრეპილი ჩემი წიქარა.

1969



ა. გ. გ.

* * *

ზღვა ხელში როგორ შემომეცრიცა,
 ქარის ხმა გულში
 როგორ მესობა,
 როგორ ჭრიალებს მზეშებმული აღსავლის
 კარი,
 ამდვრულია ცა, როგორც მტკვარი.
 შუალამისას ქარიშხალმა
 ჩაძირა მთვარე,
 ღელვამ ნაპირზე გამორიყა გამთენისას.

1967



ოპტიმისტური შეგონება

ცა თუ არ შემომაღამდა,
თუ წლების რემა
ვთვალე...
ყოფნის ნახევარ გზაზე
თუ არ დავეცი მე.
არ ჩავა ჩემი მოვარე,
„და აღმოხდება მზე“.

1968



* * *

ბრძოლა მომელის უსასტიკესი
 და დარჩენილი
 ჩემი დღეები
 მზეს და სიხარულს, ვით იარაღს
 პლავ აისხამენ, –
 როგორც მცხეთა და როგორც სარქინე.
 რადგანაც ვიცი,
 ბედი მრისხანე,
 ვითარც იაკობს,
 თვით უფალთან რომ შემარკინებს.

1972



* * *

ისტორიებში თარიღების

ისმის გოდება

და ომის სახწორს

აქანავებს ბედი —

მისნური,

ქამთატაძარში

საქართველოს

კვნესის წარსული,

ასჯერ ნახმლევი და დაისრული, —

სახელ-სამოხელ

შემოძარცვული.


1970



* * *

ელამი თვალით უმზერს ბათურა
მჭადს,
დედაჩემის ხელით
მოზელილს;
სავსე ტაბაკთან ზის საწყისი
ჩემი სიცოცხლის.
მეგრულ ფაცხაში შუა კერა წევს,
როგორც მოზვერი
და ცეცხლის ყბებით შეშას იცხონის...

1968



* * *

სინათლეს თესავს ცივ სიბნელეში
ბეცი ზარნაშო –
დამესა და ბნელს გამკივარი...
და შორით ვხედავ:
თავგამეტებით
მშობელმა მიწამ
ცას შუბივით სტყორცნა მყინვარი
და თეთრი მკერდი დაუწინწკლა
სისხლის წვეთებით.

1970



შიძრიანი ლამე

ისევ თვლემს დამე
მოგონების პატარა ტოტზე,
აყეფდა ფიქრი ნაგაზივით...
და ხმა გაკმინდა.
მერე ოთახში
ცისკარი თუ მამლის ყივილი
ფრთების ტყლაშუნით შემოფრინდა
დია სარკმლიდან.

1971



* * *

ნოემბრის ქარი, ოქტომებრი
სანაპიროზე
მიათამაშებს მზეს, ვითარც ხვითოს,
ზღვა მკერდზე ზვირთთა მჯიდებს
ირტყამს...
და ნერვიულობს
მხურავლ ქვიშაზე დარჩენილ
სითბოს.

1972



მოვარე


სეირნობს მთვარე,
 თან ჩემს მამულს
 ათვალიერებს
 და მნათთა გუნდი ახლავს,
 ვითარც ქეიბურები...
 შედგება წამით...
 მტრით თუ უამით
 რბულ ციხესთან,
 გარდახდილ ომთა
 მწარე კვამლით შეიბურება
 და შუბლშეკრული ჩამოიხედავს.

1972

* * *

დიან დღეები ოქრორეული...
ძველი სიმაღლე,
სიმტკიცე და
ძველი იერი,
პალავ დაიბრუნა სისხლის ფასად
ჩემმა გვარ-ტომმა,
და... მე მაღარდებს,
ჟამმა ცბიერმა,
ეს საუგუნე –
ხელში როგორ შემომატოვა.

1970



* * *

გიდექ შენს საკურთხეველთან,
ლოცვა-კურთხევა
შემეძლო გიდრე,
და შენ თუ არა,
ჩემს ფესვს ღმერთიც ვე ამოთხრილა,
რადგან მე ვიყავ,
ქართლის მიწის
პირველი მკვიდრი
და ფეხს არასდროს მოვიცვლიდი
ამ სამოთხიდან.

1979



გადახულია ღამე შზამდე

გადახნულია ღამე შუამდე
და ვაყურადებ დროისა
და ცისკრის დინებას.
და სიყვარული, წასული და სიზმარეული,
ელის ჩემს ძახილს...
ელის სითბოს..
ელის ალერსსაც...
მეც ვეფერები,

დარდის ქოხში როცა შევუგლი,
როცა ღამეებს მოგონების ქვაზე ავლესავ.

1972



09180 მშვიდად

ზის მოგონება —
 სიჭაბუკის
 ცისფერ ნაპირთან
 და ჩვენს ბავშვობას,
 ქარით დაშლლ
 ქოჩორს უვარცხნის.
 სინამდვილე კი მიუჰყვება წლების იარუსებ.
 იყავი მშვიდად,
 თუა ღმერთი,
 შენთან მოსვლამდე,
 მან ჩემთან უნდა გამოიაროს,
 იყავი მშვიდად...



* * *

ზვირთთა ჯალაგი მოიწევა
შურისძიებად,

არა სურს, ჩვევას რომ უდალატოს
და ზე ამოდის მუქარითა და...
სტოვებს კალაპოტს.

მიწას კი მშვიდად
უწყვია გულზე
მთების გეება მჯიდები და...
ზღვას რისხვით უმზერს.

1969



କାହାରୁଲି

ମନେ ମନୀଫରିକା ସେରିଥେ ଫାସାଗଲିବ,
 ସାଧାମରେ ମରେବିଥେ ଅଫେନିବ
 ତମିବେ
 ଗାନ୍ଧୀରେ

ଫା ଫିରାଲିବିତ ବ୍ୟାଫାନ ଗାମନିବି,
 ନାହାରୁଲି କି, ରାଗନରି ନିମ୍ବା
 ଆନ ବ୍ୟାବ ଆଶ୍ରମି.
 ଫରତଲିବିତ ଫାମଫରତବାଲ ସିହିମରିଶି
 ବିଭିନ୍ନ-ଶିଖିଲି
 ଫରିବେ ପାଦିଲିବିତ ତପାଲଗାନାଥୁଲି.

1967



მყინვარი

მშობელი მიწის მიტოვებისთვის,
მარადიულ და უსპეტაკეს
თოვლს გამყივარი, –
სადაც სიცივის
ლურჯი კიდეა,
იქ მარტოდმარტო ულამაზეს
ცის სამრეკლოზე,
კით დამნაშავე, თეთრი მყინვარი,
ყინვის თოკებით ისევ ჰკიდია.

1963



ლამარია

ზოგის სიცოცხლე უიღბლო მთამსვლელია,
და ზოგის –
მქუხარე თერგია.
სვანეთში,
ტაროსზე დრუბლები
რამ არია?..
ეპეი, – მიხეილ!
მიხეილ ხერგიან, –
ასი წლით დამაბერე, ლამარია.

1973



* * *

მოსაღამოვდა....

ოქროს ნაყოფს ცა კვლავ დაისხამს,
აანთებს ჭალა ათიათას ლერწმის
კელაპტარს.

და კვლავ აავსებს ჩემი ყოფის
მაღალ ბარძიმებს

მშობლიური ცის კამპამა ნამი,
მაგრამ უეცრად

უმსუბუქეს ფიქრს დაამძიმებს
ცის მოწყვეტილი მნათობის ჩქამი.

1969



შენ დამეკარგებ

შენ დამეკარგებ წუთისოფლის ციცქა
ბილიკზე,
და აი, ახლა,
ცალულელა ირმის ყვირილზე –
გაზაფხულს ჩემობს
შროშანი ორი,
და... მთელი დამე დაგეძებ, ჩემო,
ვარსკვლავთა შორის...

1965



ვეტარ არიან მოროვმუნები

— ცაში ბეჭდულვი,
ნურც მოგვშლიდეს შენი წყალობა, —
ისმის ჩურჩული...

მორწმუნეთა თან სდევს ვედრება:
ძმა ძმას ნუ მოჰკლავს,
გადმოგვხედე,

ზოგჯერ, უფალო!

და... დამეები მოუყვება
მთვარის ხეივანს...
მიწაზე ისევ,
ძმა ძმის სისხლს ღერის

ტქუილუბრალოდ,
ხოლო უფალი ცის კარავში ზის არხეინად.

1985



* * *

କରନ୍ତିବ୍ୟାନିକୁଠାନ ମିରବୀନ ଧ୍ୟେବ,
ସାମନ୍ତରିତ ଦ୍ୱୟାଲିତ

ରା ରାଜ୍ୟମେଲିଲିତ.

ଜ୍ଞାନିବ୍ୟାନ ଗାନ ଆରାଜି,
ବେଳିତ କରନ୍ତିକୁଠାନ,
ରାଜ୍ୟମେଲି ଉରାଜିମାଲି,
ରାଜ୍ୟମେଲି କେତିଲ ମଧ୍ୟମେଲି
ମହାନ୍ତିବ୍ୟାନିକୁଠାନ ମିରବୀନ ଧ୍ୟେବ.

1972



* * *

მიწის ხელებით მძერწა უფალმა,
მაგრამ ცაზე კი,
 ფიქრი მაინც ვერ მოვიშორე –
სადაც სიყვარულს ცეცხლის დისკოდ ისევ
 კიდებს მზე.
ერთი ვარსკვლავი უსაშველოდ
 წუხს ცის კიდეზე.
თავლს მიკრაგს: – მოდი!
 და აწვალებს ჩემი სიშორე.

1963



* * *

კისრისტენთ ჩამორბოდა მთიდან ბილიკი,
წვიმდა,

წვეთავდა მზე და სიმწვანე –
გაჟას დვიიდან,
გაჟას დეკიდან
არაგვი იწვა მთის აკვანში როგორც ენება.
და ცისარტყელა ცაზე ეკიდა
შვიდფრად გადაჭრილი გენებით.

1974



პეტროვენი

ზეცა მოდრიკა
ცისარტყელას ფერადი
ქნარით;
შორს მავალ ჰანგებს
გაატანა
მზითევად სმენა,
რომ არ გაეგო წუტისოფლის
აურზაური;
მერე მუსიკას არ ისმენდა,
ხედავდა თვალით.

1965



ଅତୀଷଥୀର୍ଦ୍ଦୀ

ରଗନାରକ ଦ୍ୟାଲଦ୍ୟାଲି

ଏହି ରଗନାରକ ମଧ୍ୟରେଣେ,


ରଗନାରକ ସିଦ୍ଧାନ୍ତବଳିରେ

ଶୁଦ୍ଧିରେ ଆଖିରି –

ମତାଞ୍ଚମିନ୍ଦା ତବିଲିରେ

ଗାନ୍ଧିଲିଙ୍ଗ ମ୍ରଦନ୍ତରେ ଆମ୍ବାଦ ଆଖିରି.

1967



იოანე მიწჩეო

სოფელი ესე

არის ამაო,

სიცოცხლე მსურდა, მაგრამ უამმა აღარ
მაცხოვრა

თვითონ სიკვდილთან დღენიადაგ მქონდა
დუელი.

რადგან ვერ მიხსენ მარხვა-ლოცვით,
დიდო მაცხოვარ,

შენ –

„ქრისტე, ღმერთო, შეიწყალე
სული ჩუენნი“.

1974

მწვერის იდილია

გრიგალი?

— არა!

წუთისოფლის ქრიან ქარები...

იჩქარი?

— არა!

მე არსად არ მიმეჩქარება.

მაშ?

— ქალბატონი დრო მაჩქარებს.

1983



* * *

ზღვიდან თვალსმიკრავს ერთი მნათობი,
მე რომ სიცოცხლის

ბედად დაგსახე.

პლავ შევციცინებ –

ჩემი ქართლის –

ცას მოქროვილს:

თვალ-მარგალიტით აღსავსეა დამის

სასახლე

და... ადევს მთვარის დიდ ბოქლომი.

1966



* * *

ცაში იშვა და...

ცხველი ისევ მიიწევს

ცისკენ

კამლის შავი და მსუბუქი ფრთებით,
მიწაზე ტოვებს ოქროსფერ გვირგვინს
და გზად იგრილებს შუბლსა და

კეფას.

დღის ბილიკზე კი,

ადამის ძის სიცოცხლე

მირბის,

უკან სდევენ და...

დამეების მოისმის ყეფა.



ტერენტი ბრაველი

გარ პოეზიის ქლდეს მიჯაჭვული,
თავზე დამბრუნავს ღრუბელი და
